



<https://doi.org/10.59172/2667-9876/2024-1/32-43>

ძირითადი უფლების შეზღუდვის შეფასების პრობლემატიკა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითად განხილვის სხდომაზე

თორნიკე ჭეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, მონვეული ლექტორი,
საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

რეზიუმე. განმწესრიგებელი და არსებითად განხილვის სხდომების გამიჯვნა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში პრაქტიკული დანიშნულებისაა. 2015 წლიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, სწრაფი მართლმსაჯულებისა და პროცესის ეკონომიურობის პრინციპების დასაცავად მნიშვნელოვანია მკაფიო ზღვარი არსებობდეს ამ ორი სხდომის პროცედურებსა და სამართლებრივ შედეგებს შორის. თუმცა აღნიშნულმა არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი ინტერესები და გამორიცხოს განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მათი ადეკვატური დაცვა.

მოქმედი კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვან პასუხს არ იძლევა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ძირითადი უფლების შეზღუდვის შეფასება საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი ნორმების ანალიზი განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე ძირითადი უფლების შეზღუდვის შეფასების სასარგებლოდ ლოგიკური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული პოზიცია მხარდაჭერილია მოსამართლეების მხრიდან არსებითად განხილვის არაერთ სხდომაზე, რაც სხდომების ოქმებსა და აუდიო-ვიდეოჩანაწერებში დასტურდება.

არსებულ ვითარებაში მოცემული საკითხის სამართლებრივი ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, ახალგამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებისა თუ არგუმენტების საფუძველზე, არაფერი გამორიცხავს განმწესრიგებელი განხილვის დროს შეფასებული ფაქტების ხელახალ შეფასებას.

გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევებში, განსხვავებულად განვითარებულა სასამართლო პრაქტიკაც.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო სამართალწარმოება, ძირითადი უფლების შეზღუდვის შეფასება საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე, განმწესრიგებელი განხილვის სხდომა.

1. შესავალი

თითოეული ძირითადი უფლება იცავს ადამიანთათვის შესაბამის რეალობაში ძვირფას ცალკეულ ფასეულობას.¹ საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ საქმეზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სადავო ნორმების ძირითადი უფლების დამდგენ შესაბამის მუხლთან სწორი ურთიერთმიმართების დადგენას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება დავის სწორად გადაწყვეტა.²

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას.³

აღნიშნული მსჯელობის საფუძველია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის ზედმიწევნით დაცვასაც, შემდგომში განხილულ სხვა გარემოებებთან ერთად, ხელს არ უწყობს თავად კონსტიტუციური რეგულირებების. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში არის უფლებების მარეგლამენტირებელი მუხლები, რომლებიც შინაარსობრივად ძალიან მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ცალკეულ შემთხვევებში ემსახურებიან ერთი და იმავე სიკეთის დაცვას. ასეთ დროს ხდება ძირითადი უფლებებით დაცული სფეროების გადაფარვა.⁴

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ამ სპეციფიკური პრობლემის აკადემიური შეფასება აქტუალურია, რადგან სადავო ნორმის ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროსთან არასწორი მიმართების დასახელებისას კონსტიტუციური სარჩელი დაუსაბუთებლად მიიჩნევა და, შესაბამისად, არ მიიღება არსებითად განსახილველად.⁵

1. ჩიფჩიური ვ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021, 75.

2. ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, 2013, 36.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

4. ერემაძე ქ., იქვე.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/10/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების და სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, შეაფასოს რამდენად მიზანშეწონილია საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან განმწესრიგებელ სხდომაზე არაკონსტიტუციურობის თვალსაზრისით ეჭვქვეშ დამდგარი ნორმის ძირითადი უფლების დაცულ სფეროსთან მიმართების საბოლოო შეფასება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნება მსჯელობის ანალიტიკური და ფორმალური ლოგიკის მეთოდი, შესაფასებელი ნორმების განმარტების ტრადიციული და კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება, რაც სისტემატიზაციის პირობებში მოგვცემს ობიექტური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

2. განმწესრიგებელი სხდომის ფუნქცია

საკონსტიტუციო სამართალწარმოება ურთიერთკავშირში მყოფი რამდენიმე სტადიისგან შედგება. თითოეული სტადია სასამართლოს და სამართალწარმოების მონაწილეთა ქმედებების ერთობლიობაა და ემსახურება საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე ცალკეული პროცედურული საკითხების შეფასებას.⁶ სამართალწარმოების სტადიების თანმიმდევრობა პირდაპირ კავშირშია სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობასთან.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პირველი სტადია უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვას – კონსტიტუციური წარდგინებისა და სარჩელის შეტანას. აქ იკვეთება საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიციატივის შემლუდვის ვალდებულება,⁷ რაც ეფუძნება პრინციპს: „სადაც არ არის მოსარჩელე, იქ არ არის მოსამართლე“.^{8, 9}

ფორმალური შემონმებისა და რეგისტრაციის შემდეგ სასამართლოში იწყება სარჩელისა და წარდგინების შესწავლა და მათი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად მიიღებს წარდგინებასა და სარჩელს, ტარდება არსებითად განხილვის სხდომა და განხილვის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება.¹⁰

6. *კახიანი გ.*, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, 2008, 214.

7. *Loladze B.*, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2014, 156.

8. *Hopfauf A.*, Kommentar zum Art. 93 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H., Hopfauf A. (Herg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011, Rn.52.

9. *ლოლაძე ბ.*, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, მეორე გამოცემა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021, 269.

10. *ლოლაძე ბ., მაჭარაძე მ., ფირცხალაშვილი ა.*, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 376.

ხშირ შემთხვევაში განმწესრიგებელ განხილვას პროცედურული ბარიერის ფუნქცია აკისრია. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31⁵ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებად ითვლება განმწესრიგებელ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის/კოლეგიის მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა.

ძირითადი უფლების დამდგენ კონსტიტუციურ ჩანაწერთან ნორმატიული აქტის შესაბამისობის დასადგენად, სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე ამონებს მთელ რიგ ფორმალურ და შინაარსობრივ საკითხებს, რომლებიც კანონის 31¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებიდან გამომდინარეობს და რომლებიც, მეტ-ნაკლებად იდენტურია სასამართლოს მიერ სხვა უფლებამოსილებების გამოყენების პრობებშიც¹¹ და ასევე დადგენილია კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტით.

კერძოდ, განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე სასამართლომ კონსტიტუციურ სარჩელში შინაარსობრივად უნდა შეათვასოს შემდეგი საკითხები:

- არის თუ არა კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;
- არის თუ არა მოსარჩელე უფლების სუბიექტი;
- მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელის აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას (სახელმწიფოს მოქმედების შემხებლობა მოსარჩელის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროსთან);
- სარჩელში მითითებული სადავო საკითხი გადაწყვეტილია თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ;
- სადავო ნორმა მიმართება თუ არა მოსარჩელის მიერ დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებას;
- შესაძლებელია თუ არა სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.

11. ვრცლად იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 31/01/1996, მუხლი 31¹, პუნქტები 3-15.

გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევაში, განმწესრიგებელ სხდომაზევე შესაძლებელია მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაც, როდესაც საქმე უკავშირდება ე. წ. „დამძლევ ნორმას“.¹² იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი, ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.^{13, 14}

მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „იმავე შინაარსის ნორმა“ არ გულისხმობს სიტყვასიტყვით იმავენიად ფორმულირებული წესის მიღებას/არსებობას. „ნორმის მხოლოდ ტექსტუალური, რედაქციული, ან სხვა ფორმალური განსხვავება ვერ ჩაითვლება არსებით განმასხვავებელ ფაქტორად. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასებს, არის თუ არა სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის“.¹⁵

ამ ჩამონათვალიდან, განმწესრიგებელ სხდომაზე სასამართლოს მიერ შეაფასებელი შინაარსობრივი საკითხების მასშტაბის მცირედი წარმოდგენისთვისაც საკმარისი იქნება მხოლოდ იმის აღნიშვნა, თუ რა პრომატევად პროცესთანაა დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის განსჯადობის შემონგება (სასამართლო არ უნდა გასცდეს ე.წ. „ნეგატიური კანონმდებლის“ ფარგლებს, შეაფასოს კონსტიტუციური კანონის, ძალადაკარგული ნორმის, ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის, ნორმატიული ბუნების არმქონე აქტის და ა.შ. არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნის არსებითად განხილვის მიზანშეწონილობა) და მოსარჩელის უფლების სუბიექტად კვალიფიკაცია (უნდა გამოირიცხოს „actio popularis“, მოსარჩელე უნდა ექცეოდეს სადავო ნორმის მოქმედების სფეროში, შეფასდეს იურიდიული პირის მიერ ძირითადი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა და ა.შ.).

ამრიგად, კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ განმწესრიგებელი სხდომის ეტაპი ძირითადი უფლების დასაცავად შეტანილი კონსტიტუციური სარჩელის მთელი რიგი ფორმალური საკითხების შემონგებასთან ერთად, სასამართლოს მნიშვნელოვანი შინაარსობრივი საკითხების შეფასების ამოცანის

12. ვრცლად იხ. ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები (პრაქტიკული სახელმძღვანელო), 2021, 171.

13. ლოლაძე ბ., მაჭარაძე მ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 383.

14. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, 31/01/1996, მუხლი 25¹, პუნქტი 4¹.

15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

წინაშე აყენებს და, სირთულის ხარისხის მიუხედავად, სამართალწარმოების ამ სტადიის არსებით ნაწილად მხოლოდ ძირითადი უფლების დამდგენ კონსტიტუციურ ნორმასთან სადავო ნორმის სწორი მიმართების შეფასება არ უნდა მივიჩნიოთ.

3. განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ადამიანის ძირითად

უფლებასთან მიმართების საბოლოო შემოწმების

მოთხოვნა კანონმდებლობაში

როგორც აღინიშნა, სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისა და არსებითად განსახილველად მიღების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა სწორად განსაზღვრა, თუ რომელი კონსტიტუციური უფლების შემზღვევას იწვევს სადავო ნორმა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ნორმის მიმართების საკითხი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, თავად ნორმის შინაარსზე, მოწესრიგების სფეროსა და მისგან მომდინარე შედეგზე, ხოლო მეორე მხრივ, კონსტიტუციური უფლების დაცულ სფეროზე.¹⁶

ნორმათა გრამატიკული განმარტების პირობებში, ამ დასკვნის გამოტანა უპირველესად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31² მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე შეიძლება, რომლის თანახმადაც მომხსენებელი მოსამართლე კონსტიტუციური სარჩელის შესწავლისას არკვევს, არსებობს თუ არა ამ კანონის 31³ მუხლით განსაზღვრული საფუძველი სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისთვის. 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ იგი ფორმით და შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის 31¹ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. თავის მხრივ კი 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ ადამიანის უფლებების დასაცავად შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის დებულება, რომელსაც, მოსარჩელის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო სამართლებრივი აქტი.

მოსაწესრიგებელი საკითხი, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, შეიძლება ბევრად მარტივად, საკანონმდებლო ლაბირინთის გარეშე ჩამოყალიბებულიყო, თუმცა, კიდევ ერთი ლაბირინთის გავლა გახდება საჭირო ნორმების სისტემური განმარტებისთვისაც. კერძოდ, იმის გასარკვევად, ევალება თუ არა განმწესრიგებელ სხდომაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სა-

16. ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები (პრაქტიკული სახელმძღვანელო), 2021, 51.

დავო ნორმის ადამიანის ძირითად უფლებასთან მიმართების საბოლოო შემოწმება, დასახელებული ნორმები უნდა შეფასდეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით განსაზღვრული განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების ფორმატის დამდგენ ნორმებთან, საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და კონსტიტუციის 62-ე მუხლით განმტკიცებულ სამართალწარმოების ძირითად პრინციპებთან კავშირში.

კანონმდებლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის შემოხსენებული სამი ჩანაწერი, თავდაპირველად, 2018 წელს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან გაერთიანების შემდეგ ძალადაკარგულად გამოცხადებულ, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში აისახებოდა. 2002 წლის 12 თებერვალს ამ კანონს აღნიშნული ნორმები პირველივე ცვლილებით, მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის მე-6 პუნქტსა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის სახით დაემატა¹⁷ და 2006 წლამდე იმოქმედა იმ პირობებში, რა დროსაც სამართალწარმოების ნორმები არ შეიცავდნენ უშუალო მითითებას განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით თუ მის გარეშე ჩატარების თაობაზე.¹⁸

2006 წლის 29 დეკემბერს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში გაჩნდა მოქმედი 27¹ მუხლი, რომლითაც განისაზღვრა ზოგადი წესი – საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი სასამართლოში განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, დადგინდა გამონაკლისი – სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენით, თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევა.

აღნიშნული წესი ამოქმედდა განმწესრიგებელ სხდომაზე შინაარსობრივად შესაფასებელი საკითხების ცვლილების მიუხედავად და ისტორიული განმარტებით, მისი მიღება განპირობებული იყო სამი თვით ადრე საკონსტიტუციო სასამართლოს თბილისიდან ბათუმში ადგილმდებარეობის ცვლილებით.¹⁹

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების პროცესისთვის განხილვის ზეპირი მოსმენით ჩატარება, თავად საკონსტიტუციო სა-

17. იხ. საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, №1270-III.

18. *კახიანი ვ.*, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, 2008, 222.

19. იხ. საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, №3549-რს.

სამართლოს მიიჩნევს, რომ საქმის ზეპირი მოსმენა ითვალისწინებს რა მხარეთა უშუალო მონაწილეობას საქმის განხილვაში, ნიშნავს მათ შესაძლებლობას, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობისა და დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისთვის.²⁰ საქმის ზეპირი განხილვა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მხარეებს უკეთ დაასაბუთონ საკუთარი კანონიერი მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, ეხმარება მოსამართლეს საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე გამოიტანოს ობიექტური, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.²¹

ამასთანავე, სასამართლო აღნიშნავს, რომ „ზეპირი განხილვის უფლების დაცვის სტანდარტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამართალწარმოების შინაარსზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვა უკავშირდება ფორმალურ-სამართლებრივი საკითხების დადგენას, ნაკლებია ზეპირი მოსმენის გამართვის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი „jura novit curia“ („სასამართლო იცის კანონი“).²² განსხვავებული უნდა იყოს მიდგომა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წყვეტს როგორც ფორმალურ-სამართლებრივ, ასევე შინაარსობრივ საკითხებს. თავისთავად იმის შეფასება კი, აქვს თუ არა მოსარჩელეს სწორად დანახული ძირითადი უფლების დამდგენ კონსტიტუციურ ჩანაწერთან სადავო ნორმის მიმართება, სამართალწარმოების უმნიშვნელოვანეს შინაარსობრივ საკითხს წარმოადგენს, რაც უდიდეს გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილებასა და, მეორე მხრივ, დავის სამართლიან გადაწყვეტაზე.

ამრიგად, განმწესრიგებელი განხილვის ფორმატის დამდგენი ზოგადი საკანონმდებლო წესი – სხდომა გაიმართოს ზეპირი მოსმენის გარეშე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მართლმსაჯულების პროცესსა და ძირითადი უფლების ადეკვატური დაცვის გარანტიაზე და, შესაბამისად, კანონმდებლობის ფორმალური მოთხოვნა, რომ სადავო ნორმატიული აქტის მიმართება ძირითადი უფლების კონსტიტუციურ ნორმასთან დადგინდეს მხოლოდ განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში, ნორმის სისტემური, ტელეოლოგიური და ისტორიული განმარტების საფუძველზე ხარვეზიანია და სასამართლოს და პროცესის მონაწილე მხარეებს ამის შესაძლებლობა საქმის არსებითად განხილვის სხდომაზეც უნდა მიეცეთ.

20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-61.

21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 35.

22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-75.

4. დასკვნა

საკითხის განხილვა სტატიაში დაეფუძნა ობიექტურ გარემოებებს – მოქმედი სამართლის ნორმებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. მსჯელობა წარიმართა სისტემატიზებული ფორმით, შესავალში დასახელებული კვლევის მეთოდების შესაბამისად, რამაც განაპირობა ობიექტური დასკვნის გამოტანა საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითად განხილვის სხდომაზე სასამართლოს და მოპასუხე მხარეს უნდა შეეძლოს სადავო ნორმის ძირითად უფლებასთან საოქმო ჩანაწერით დადგენილი მიმართების ეჭვქვეშ დაყენება.

არსებული რეგულირების სიხისტეს გამონაკლის შემთხვევებში ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც,²³ ხოლო სამართალწარმოების მიზნებისთვის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენის გარეშე ტარდება.

აღნიშნულ საკითხს კანონმდებლობაში უკავშირდება აგრეთვე 2002 წელს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონში შესული ცვლილება, რომელიც ამჟამად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31⁴ მუხლის მე-2 პუნქტის სახით არსებობს და რომლის თანახმადაც, მოსარჩელის/მოსარჩელის წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე, სასამართლო ვალდებულია განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე/მოსარჩელის წარმომადგენელი და მოისმინოს განმარტება კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების საკითხზე. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებითაც პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულ ასეთ მიმართვას არ ითვალისწინებს²⁴ და მსჯელობის შედეგად მიღებული შეფასება ყურადსაღებია.

ცხადია, აღნიშნული არ გამოირიცხავს მოპასუხე მხარის უდიდეს პასუხისმგებლობას, უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართების ეჭვქვეშ დაყენებასთან ერთად, არსებითად განხილვის ყოველ სხდომაზე დაასახელოს

23. ვრცლად იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №2/4/603 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის №2/11/663 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“; საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

24. მაგ., იხ. №1792 კონსტიტუციური სარჩელი და ამავე სარჩელთან დაკავშირებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/5/1792 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ თომასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

სადავო ნორმის ლეგიტიმური საჯარო მიზანი და ამით ხაზი გაუსვას საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ პატივისცემას.

ამასთანავე, ცხადია, რომ განმწესრიგებელი განხილვის სხდომაზე გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციის შესაბამის მუხლთან მიმართების შეფასება არ უნდა გამოირიცხოს და ამ პროცესში მთავარი აქცენტი დაისვას მოსარჩელის მიერ დასახელებული მიმართების სიმცდარის შემონშებაზე და არა მიმართების უტყუარ დადგენაზე.

დასახელებული პრობლემა შესაძლებელია მოგვარდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მყარი პრაქტიკით ან საკანონმდებლო ცვლილებებით, რაც განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში შესული ბოლო ცვლილება გულისხმობდა მასში საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის ტექნიკურ ინტეგრირებას და სამომავლოდ სამართალწარმოების უამრავი დეტალი შინაარსობრივ და ტექნიკურ დახვეწას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.
2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 31/01/1996.
3. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 21/03/1996.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, 14/02/2020.

ეროვნული სამეცნიერო ლიტერატურა

1. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, 2008.
2. ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021.
3. ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები (პრაქტიკული სახელმძღვანელო), 2021.



4. ერემაძე ე., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, 2013.
5. ავტორთა კოლექტივი, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.
6. ავტორთა კოლექტივი, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, მეორე გამოცემა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2014.
2. Hopfauf A., Kommentar zum Art. 93 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H., Hopfauf A. (Herg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/10/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის №2/11/663 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/5/1792 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ თომასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 35.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის 2/4/603 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.